



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2019 წლის 18 იანვარი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილებაში (ვებ. გვერდი: www.matsne.gov.ge, 17/11/2017 სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.138.016282) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციები

	საშტატო ერთეულის დასახელება	სარგოს ოდენობა (ლარი)
1	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე	1400
2	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მდივან-რეფერენტი	800
3	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის მდივან-რეფერენტი	800
4	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირადი მძღოლი	1100
5	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მორიგე მძღოლი	850
6	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი ინფრასტრუქტურულ საკითხებში	1600
7	მერის ფინანსური კონსულტანტი	1400
8	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი	1200
9	ავტოპარკის ზედამხედველი	900
10	სპეცტექნიკის ოპერატორი (გრეიდერი HBM BG160 TA-4)	70 ლარი დღიური
11	სპეცტექნიკის ოპერატორი	60 ლარი დღიური
12	სპეცტექნიკის ოპერატორი	60 ლარი დღიური
13	სპეცტექნიკის ოპერატორი	60 ლარი დღიური
14	ოპერატორი	700